



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) უფლება – მოვალეობანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) უფლება-მოვალეობანი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე ინიციატივების, საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურას.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებები

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება;
- ბ) მიიღოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
- გ) ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;
- დ) მოითხოვოს სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- ე) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ;
- ვ) თავისუფლად გამოთქვას აზრი ნებისმიერ საკითხზე და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- ზ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- თ) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება;
- ი) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-სა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;
- კ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ;

- ლ) გამოიყენოს შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად;
- მ) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- ნ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად;
- ო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოსთხოვოს კოლეჯს საკუთარი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რაც გათვალისწინებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მოვალეობები

- 1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
 - ა) დაემორჩილოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;
 - ბ) დროულად, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე, სხვა ფინანსური დავალიანება და მოთხოვნის შემთხვევაში, კოლეჯს წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) პატივისცემით მოექცეს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს;
 - დ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, მისი დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
 - ე) დაიცვას კოლეჯის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული ინვენტარითა და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები და შეასრულოს ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ შენობაში ქცევის წესებს;
 - ვ) უმიზეზოდ არ დააგვიანოს ლექციაზე/მეცადინეობაზე;
 - ზ) ჩაიცვას საქმიანად, მისი გარეგნული იერი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო ატმოსფეროს;
 - თ) შეასრულოს პროფესიული განათლების მასწავლებლების, მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;
 - ი) პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
 - კ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები.

მუხლი 4. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობლის (სხვა კანონიერი წარმომადგენლის) უფლებები

- 1. მშობელს (სხვა კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს:
 - ა) მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

- ბ) მიიღოს ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან და ადმინისტრაციისაგან კოლეჯის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;
- გ) მიიღოს ინფორმაცია შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევების შესახებ;
- დ) მოითხოვოს შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;
- ე) მოითხოვოს კოლეჯში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ვ) გაასაჩივროს მისი შვილის (მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება.

მუხლი 5. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის გზობის (სხვა კანონიერი წარმომადგენლის) მოვალეობები

- 1. მშობელი (სხვა კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია:
 - ა) დაიცვას კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები;
 - ბ) დროულად, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე, სხვა ფინანსური დავალიანება და მოთხოვნის შემთხვევაში, კოლეჯს წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) ითანამშრომლოს და მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს კოლეჯში;
 - დ) აანაზღაუროს კოლეჯისადმი შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი;
 - ე) შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
 - ვ) კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები.

მუხლი 6. ინიციატივების წარდგენის პროცედურა

- 1. პროფესიულ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს/მსმენელს/მსმენელებს შეუძლია განცხადებით/ინიცირებით მიმართოს კოლეჯს და მოითხოვოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება/დაფინანსება.
- 2. განცხადება უნდა მოიცავდეს პირველი განმცხადებლის ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, თარიღს და ინიციატივას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი განცხადება არ განიხილება. გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
- 3. დირექტორს ფინანსურ მენეჯერთან ერთად განხილვისთვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის ეძლევა 10 დღიანი ვადა. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინიციატორს/ინიციატორთა ჯგუფს ეცნობება არგუმენტირებული უარი.

4. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, კოლეჯის დირექტორს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტაცია.
5. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია ღონისძიების მომწყობი, რომელიც ინიციატივის საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს.
6. განსახორციელებელი ღონისძიება დაანონსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ (ფეისბუქ) გვერდზე.

მუხლი 7. საჩივრის განხილვის პროცედურა

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს) შეუძლია საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
2. საჩივარი შესაძლოა იყოს წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი ფორმით.
3. პრობლემური საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე და მის გადასაჭრელად საკითხი შესაძლოა განხილულ იქნას კოლეგიურად. საკითხის განხილვის შედეგად თანამშრომლის ან/და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 8. უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დაცვა

1. კოლეჯი, თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი სწავლისათვის უსაფრთხო პირობების შექმნას.
2. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვა წესების შესახებ და თავადაც ახორციელებს მუდმივ კონტროლს ყველა მათგანის შესრულებაზე.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

მუხლი 9. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) უფლება-მოვალეობანი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.